**№ 282.** ოთხშაბათი 13 აგვისტო. 1896—1897 ოთხშაბათი, 13 აგვისტო. **№ 282.**

**რედაქცია:**
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

**გაზეთის ფასი**
ერთის წლით **6** მან., ნახევარის წლით **4** მან.
თითო ნომერი **3** კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
*Телефонъ № 363.*

„ცნობის ფურცელი“ 1-ლ აგვისტოდან წლის დამლევამდე
საქართველოს კალენდრით
ღირს სამი 3 მანეთი

ყმაწვილი კაცი
ეძებს სამუშაობს: ამზადებს საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასების მოწაფეებს; იღებს სავაჭრო კანტორების სამუშაოს, რუსულ და ქართულ ნაწერების გადაწერას და სხვ. პირობები შეიძლება გაიგოს „ცნ. ფურც.“ რედაქციაში 10—1 საათამდე დღისით პირადათ და წერილობით ყოველ-დღე.

„ბანკის ბაღი“
სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო მამულში
დღე მუდამ საყოველთაო სეირნობა
ყოველ საღამოს იმართება მომღერალთა გუნდის **კონცერტები, სახუმარო სცენები, ცეკვა-თამაში, სიმღერები და სხვ.**
მომღერალთა დასი შესდგება შემდეგის არტისტებისაგან: ავაზიანი, დოცენკო, ზროცენკო, პოლიანსკი, ნისტიაკოვისა, სოლდინისა, კარლინენკო დასხ. მრავ. სიმღერებს და სცენებს ასრულებენ შესაფერის ტანისამოსებით.
დირექცია შვამისა
**საღამოობით ბაღში უკრავს საზანდარი** დღისით შუადღიდან 4 საათ. სამხედრო მუსიკა. სეირნობა და დროს გატარება იწყება საღამოს 9 საათიდან.
ბაღში შესვლის ფასი 20 კაპ.
ბაღთან გამართულია
**მშვენიერი ბუფეტი და რესტორანი**
საჭმელ-სასმელი საგანგებოა, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ევროპიული. საჭმლები მზადდება განსაკუთრებით კარაქზე
სადილი 4 კერძი, არაყი, ნახევარი ბოთლი. ღვინო და ყავა . . . . 1 მან.
— 2 კერძი, არაყიდა ბოკალი ღვინო ღირს . . . 50 კაპ.
როტონდები, აუზები და კერძო ხეივანები.
!!მიიღება შეკვეთა დიდ სადილ-ვახშმებზე იაფ ფასად!!
ბაღში იყიდება იაფად ყოველნაირი ყვავილები, თაიგულები და სხვა.
იქვე გამართულია სამი ფრეიბერგის ბილიარდი.
ფასი ყველაფერზე ზომიერია.
ბაღის პატრონი **ვ. ნ. სხირტლაძე.**
„БАНКОВСКІЙ САДЪ“
ЕЖЕДНЕВНОЕ РАЗВЛЕЧЕНІЕ:
*Хоръ пѣвицы, пѣвцы, танцы, куплеты и прочь.*
Военный оркестръ и сазандари.
РОСКОШНЫЙ БУФЕТЪ
образцовая кухня, провизія свѣжая
*Цѣны на все умѣренныя.*

ექიმი კ. კ. თოფურიძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე
დილით—8—10 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე
ხოლო სამშაბათსა, პარასკევსა და კვირაობით საღამოთი
ღარიბებს უსასყიდლოდ სწამლობს
ელისაბედის ქუჩა, № 27 (თვალის სამკურნალოს გვერდით)
ДОКТОРЪ К. К. ТОПУРИДЗЕ
Пріемъ ежедневно. Елисаветинская № 27. (20—4)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. 300—162)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.
დილაობით:
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.
ა. ე. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით
ა. მ. პუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памяти. Ворнцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავად მყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე.
შინაგან და ნერვების ავადმოფობას სწამლობს **ს. ვ. თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ვ თოფურია.**
Лѣчебница *С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

11 აგვისტო.

**პარიჟი.** დეპარტამენტების იურისა, ლოთერისა, პიუი-დე-დომის, სავოის, მაიენის ვოკლიუზის, ვანდეის და სხვ. მთავარმა საბჭომ შეიწყნარა შემდეგი ადრესი: „საბჭო აღტაცებით უერთდება საფრანგეთის ერის სიყვარულს რუსეთისადმი,—იმ სიყვარულსა, რომელიც პრეზიდენტმა უნდა შეატყობინოს პეტერბურგს. იმედი გვაქვს, რომ მოგზაურობა პრეზიდენტისა საკეთილოდ იქმნეს. მცხოვრებნი მოწიწებით უგზავნიან სალამს მათ იმპერატორებითს უდიდებულესობას და პრეზიდენტის მოგზაურობა მიაჩნიათ საფრანგეთისა და რუსეთის მეგობრობის დამამტკიცებელ ამბად.

**მოსკოვი.** მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურობა პეტერბურგში ჰგზავნის დეპუტაციას, რომელიც მიესალმება საფრანგეთის პრეზიდენტს და ადრესს მიართმევს.

10 აგვისტოს დიდს თეატრში მოხდა მეორე საერთაშორისო კრება მკურნალთა.

11 ივლისი

**პეტერბურგი** 11 აგვისტოს დილის 9½ საათზედ ხელმწიფე იმპერატორი დიდის მთავრით ალექსი ალექსანდრისძით, საგარეშო საქმეთა მინისტრით, ხელმწიფის ამალით და სხვა საპატიო პირებით პეტერგოფიდან გაემგზავრა იახტა „ალექსანდრაზე“ პატარა კრონშტატის ნავთ სადგურისაკენ. გემზე ხელმწიფე იმპერატორის და საფრანგეთის პრეზიდენტის დროშები აღმართეს. ხელმწიფე იმპერატორთან ერთად გაემგზავრნენ გენერალი ბუადერფი და ელჩი მონტებელო. ხელმწიფე იყო თავის ზღვაოსანთა ტანსაცმელში, ზედ საპატიო ლეგიონის ლენტი ქონდა. ამავე გემზედ იყვნენ აგრეთვე ზღვაოსნობის სამინისტროს გამგებელი ვიცე ადმირალი ტირტოვი და უფროს ზღვაოსანთა შტაბისა ვიცე ადმირალი აველანი.

**კრონშტატი.** დიდი და პატარა ნავთ საყუდრები თითქმის არ იცნობება. აუარებელი რიცხვი დიდი და პატარა კერძო გემებისაგან ტევა აღარ არის. ყველგან სამხედრო მუსიკა რუსულს და ფრანგულს ჰიმნს უკვრენ. ყველა გემები ბაირაღებით არის გაჩირაღდნებული. დილის 9 საათზედ და 37 წუთზე კრონშტატის დიდ ნავთ საყუდარზე გამოჩნდა საფრანგეთის ჯავშნიანი გემი „პოტიუო“ პრეზიდენტის ბაირაღით. სწორედ ამ დროს სამხედრო გემებიდან დაიგრგვინა ზარბაზნებმა; ყველა ახლო მახლო გემებზე გაისმა ტკბილი ფრანგული ჰიმნის „მარსელიეზის“ მუზიკა და არე-მარე მოფინა „ურას“ ძახილმა. „პოტიუოდან“ ზარბაზნების სროლას ზარბაზნებისავე სროლით უპასუხეს. პრეზიდენტი ფორი უფროსის ადგილზე იდგა თავის მხლებლებთა შორის და გენერალ ადიუტანტი ფრედერიკსიც თან ახლდა.. პრეზიდენტს შავი ფრაკი და თეთრი ჟილეტი ეცვა, ზედ ჰქონდა

ცისფერი წმ. ანდრია პირველწოდებულის ლენტი. ფორი იდგა თავ-მოხდილი და აღტაცებულ ხალხს თავს უკრავდა. ყველგან უდიდესი ლხენა სიხარული მეფობდა. 10 საათზედ და 12 წუთზე ,,პოტიუო'' მოუახლოვდა პატარა ნავთსადგურს; სწორეთ ამ დროს პეტერგოფიდან გამოჩნდა სამეფო გემი ,,ალექსანდრია'' და ღუზა დაუშვა გემ ,,შტანდარტთან''. როცა „პოტიუო" დადგა მისთვის მიჩნეულ ადგილზე, გემი ,,ალექსანდრიიდგან'' გამოაცურეს ნავი, რომელზედაც ბრძანდებოდა დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრესძე. ნავი გაეშურა გემ ,,პოტიუოსაკენ'', სადაც პრეზიდენტი დაუხვდა. ამ დროს აუარებელი გემთა რიცხვი ზედ შემოეხვია პრეზიდენტის გემს; სხვათა შორის ძვირფასს სტუმრებს მიეგება მამა იოანე კრონშტატელი. ავიდა თუ არა დიდი მთავარი ,,პოტიუოზე'', მიესალმა პრეზიდენტს და ინახულა გემის დარაჯთა რაზმი. გემზე რუსულ ჰიმნს უკრავდნენ და ზღვაოსნები ,,ურას'' იძახდნენ. 10 საათი იქნებოდა, როცა პრეზიდენტი ფორი დიდის მთავრით ჩამოვიდნენ ,,პოტიუოდან'' ნავზე და მარსელიეზის ხმაზე გაემგზავრნენ ხელმწიფე იმპერატორის გემისაკენ. პრეზიდენტი ფორი აუარებელს ხალხს მხიარულად თავს უკრავდა.

ნავს თან მისდევდა აუარებელი ნავები რუსეთის სამხედრო წოდების პირებით. პრეზიდენტი სანამ საიმპერატორო გემს მიუახლოვდებოდა გზაში დახვდა მთელი ქალაქის საბჭო და გამგეობა. მუსიკები რუსულ და ფრანგულს ჰიმნებს უკრავდენ განუწყვეტლივ. სწორედ 10 საათზედ და 35 წუთზედ ნავი პრეზიდენტით მიადგა საიმპერატორო გემს ,,ალექსანდრიას''. ხელმწიფე იმპერატორი ჩამობრძანდა გემის კიბეზე პრეზიდენტის მისაგებებლად. ერთის წუთის შემდეგ საიმპერატორო გემზე აფრიალდა პრეზიდენტის ბაირაღიც და თან ხელმწიფე და პრეზიდენტი მიეგებნენ ერთმანერთს. ხელმწიფემ პრეზიდენტი ორჯერ გადაკოცნა და მას შემდეგ ზედ გემზედ აბრძანდნენ. ამ დროს ყველა გემებიდგან და კრანშტატის ყველა სიმაგრებიდგან იგრმგვინვეს აუარებელ ზარბაზნებმა. 10 საათზედ და 40 წუთზედ, წარუდგინეს რა ერთმანერთს თავიანთი ამალები ხელმწიფე და პრეზიდენტი გაემგზავრნენ ,,ალექსანდრით'' ახალს პეტერგოფში. 11 საათზე და 14 წუთზე ,,ალქსანდრია'' გამოჩნდა ახალპეტერგოფის ნავთსადგურზე, საიდამაც მიეგებეს ზარბაზნების სროლით. ამავე დროს აქ მოგროვილიყვნენ ყველა დიდი მთავრები, სამხედრო მინისტრი, უფროსი უმთავრესი შტაბისა, ხელმწიფეს ამალა და საპატიო ყარაულთა რაზმის ბაირაღით და მუსიკით. 11 საათზედ და 24 წამზედ. პრეზინდეტი ფორი და ხელმწიფე იმპერატორი გადმოვიდნენ ნავსადგურზედ. მუსიკამ მისაგები ხმა დაუკრა და ბაირაღები ძირს დაეშვნენ მისალმების ნიშნად. ურთ ერთი მისალმების შემდეგ პრეზიდენტმა ფორმა და იმპერატორმა დაათვალიერეს საპატიო ყარაული; დაათვალიერების დროს მუსიკა ,, მარსელიეზას '' უკრავდა. ჯარი ,,ურას'' იძახდა. ბოლოს ჯარმა გაიარა პრეზიდენტის წინაშე. ამის შემ ეგ ხელმწიფე იმპერატორი და პრეზინდენტი ფორი ჩაბრძანდნენ ეტლში და ხალხის ურას ძახილით, მარსელიეზას ხმის დაკვრით გაემგზავრნენ დიდს სასახლეში. ხელმწიფე იმპერატორმა გააცილა რა პრეზინდეტი მ.სთვის მომზადებულ სადგომში დიდს სასახლეში, თვითონ დაბრუნდა ალექსანდრიაში. ცოტა ხნის შემდეგ პრეზინდეტი ფორი დედოფალ იმპერატრიცასთან სადარბაზოდ წაბრძანდა. დარბაზობა ფრიად გულწრფელი იყო. პრეზიდენტი დაბრუნდა თუ არა დიდსსასახლეში 2 საათზედ გამართულიიყო უმაღლესი საუზმე. გამართულება საარაკო რამ იყო. სუფრის შუაში ბრძანდებოდა ხემწიფე იმპერატორი, მარჯვნივ პრეზიდენტი ჰყავდა და აქეთ დიდნი მთავარნი: ხელმწიფის პირდაპირ გარეშე საქმეთა მინისტრი და ჰანოტო. საუზმეს შემდეგ პრეზიდენტი ფორი გენერალ ლეიტენანტი ბილდერლინგით დარბაზად იყვნენ დიდ მთავრებთან.

# ახალი ამბავი

***** დეპეშები საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი ქ. პეტერბურგში.** 11 აგვისტოს, ბ. ქალაქის მოურავის მოადგილეს ა. ა. ივანენკოს შემდეგი მისალოცი დეპეშა გაუგზავნია პეტერბურგში პრეზიდენტის ფელიქს ფორისათვის: ,,საფრანგეთმა ნათლად დაგვიმტკიცა რუსეთის ერისადმი სიყვარული შარშან მათის უდიდებულესობათა აღტაცებული გამასპინძლებით. ამ გარემოებამ მაშინ მთელს რუსეთს მოჰფინა სიამოვნების გრძნობა და ეხლა ჩვენ, რუსეთის შორის განაპირიდამ, სალამს გიძღვნით თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, როგორც საფრანგეთის ერის წარმომადგენელს, რომელმაც რუსეთში ჩამობრძანებით ორის ერის მეგობრული კავშირი დაგვიმტკიცა წინმსვლელობის სადიდებლად.

იმავე დღესვე ბ. ფელიქს ფორისათვისვე შემდეგი დეპეშა გაუგზავნია ტფილისის მოვაჭრეთა მამასახლისს ბ. დავიდოვს: ,,ტფილისის მოვაჭრეთა საზოგადოება, შორის კავკასიიდამ, ნიშნად პატივის ცემისა და ულრმესის მადლობი'ა მათთა უდიდებულესობათა-რუსეთის ხელმწიფისა და დედოფლის საფრანგეთის ერისაგან შარშანდელის აღტაცებული დახვედრა-გამასპინძლებისათვის, სთხოვს ბატონს პრეზიდენტს საფრანგეთის რესპუბლიკისას ფელიქს ფორს, მიიღოს გულითადი, კავკასიური სალამი რუსეთში დღევრძელად მობრძანების გამო. დაე, ეგ მობრძანება ახალი საბუთი იქმნეს მრეწველობისა და ალებ-მიცემობის გასაძლიერებლად ორს დიდ სახელმწიფოთა შორის.

ტფილისის მოვაჭრეთა მამასახლისი ე. ა. დავიდოვი

***** ახალი დანიშნულება.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან დამტკიცებულ იქმნა ქუთაისის სათავად აზნაურო სკოლის ინსპექტორად ა. ა. გარსევანიშვილი.

***** მისაღები ეგზამენები ტფ. ტეხნიკურ სასწავლებელში.** ტფილისის რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დაიწყობა 25 აგვისტოდამ. საექიმო გამინჯვა მისაღები მოწაფეებისა დაიწყობა 20 აგვისტოდამ.

***** სახელოსნო ტფილისის საააბრეშუმო სადგური.** მეურნეობის და სახემწიფო ქონების სამინისტროს განკარგულებით წლეულს ტფილისის საააბრეშუმო სადგურში უნდა დაარსდეს აბრეშუმის გამოსაყვანი და აბრეშუმეულის საქსოვი განყოფილებები. ამ განყოფილებებში ყოველთვის უნდა სწავლობდეს აბრეშუმის წარმოებას რამდენიმე პირი, ამიტომ საჭიროა შეძენილი იყვეს საჭირო მაშინები ხელით და ორთქლით მომქმედნი. მაშინებს აკეთებინებენ მოსკოვში.

***** ნავთის წარმოება.** ნავთის ფასის დაწევის გამო წვრილი მწარმოებელნი ნავთისა იძულებულნი, გახდნენ მუშაობისთვის თავი დაენებებინათ. წინათ ბაქოდამ დღე დამეში გამოდიოდა 500 ვაგონი ნავთი, ეხლა კი მხოლოდ 300 ვაგონი და გამოდის. წვრილ მწარმოებლებს განზრახვა აქვთ შუამდგომლობა აღძრან მთავრობასთან, რომ გადატან-გადმოტანის ფასი ნავთზედ შემცირებულ იქმნეს.

***** ნაძალადევში ჩხუბი.** ამ თვეს ნაძალადევში, რკინის გზის სახელოსნოსთან, გაიმართა ჩვეულებრივი ჰიდაობა, რომელზედაც დიდ ძალმა მუშა ხალხმა მოიყარა თავი. საზოგადოდ ეგ ჰიდაობა ისე არასოდეს არ გათავებულა, რომ უსიამოვნობა რამ არ მოხდეს და კაცი არ დაშავდეს. ამ დღესაც ჩხუბი ასტყდა და ვა-ლ ე—მა რევოლვერით დასჭრა ერთი კაცი მკლავში. ურიგო არ იქნებოდა, რომ ადგილობრივი პოლიცია ან მთლად აეკრძალავდეს ნაძალადევში ჰიდაობას, ანარა და ზომებს მაინც მიიღებდეს წესიერების დასაცველად, თორემ ეგ მუდმივი უწესობა უსისხლოდ არასოდეს ჩაივლის.

***** ახალი გვირაბი რკინის გზაზედ.** გუშინ 9 საათზედ დილით გაიხსნა ჯაჯურის გვირაბი ყარსის გზაზე, ყარაქლისის მახლობლად. ტონნელს დაარქვეს პრეზიდენტ ფორის სახელი. გვირაბის გახსნა დღესასწაულობით იუქმეს.

***** ტფ. გუბერნატორი.** გუშინ 12 აგვისტოს ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი დაბრუნდა აბასთუმნიდამ ტფილისს.

***** ახალი ახალშენი.** ტფილისის მახლობლად თანდი თან შენდება ახალი ახალშენი - ღრმა ღელე—ამ ხანად გაშენდა რამდენიმე სუფთა სახლი, ორი დუქანი, ორი საავურე და საკრამიტო ქარხანა და ერთიც სახერხი ქარხანა. აქა იქ გაშენდნენ ხეები და მცენარეები, მხოლოდ დიდი სიცხეების გამო ზოგიერთები გახმენ. 12 კაცისაგან შედგენილმა კომისიამ უკვე შეადგინა გეგმა მილის წყალის გაყვანისა. რკინის გზის მართველობამ დაადგინა, რომ ამ ახალშენში გაიმართოს ბაქანი მხოლოდ მაშინ, როდესაც იქ ოც სახლზედ ნაკლები არ იქნება გაშენებული.

***** ხარჯი ქალაქის განათებისა დღესასწაულობის გამო.** საფრანგეთის პრეზიდენტ ფორის ჩამოსვლის გამო ქ. პეტერგოფმა დიდძალი ხარჯი გასწია. სხვა ხარჯთა შორის 11 აგვისტოს ღამეს იქ დაიხარჯა გასაჩირაღდნებლად 100 ფუთი კარტოფილის სანთელი, ამდენივე ქონი და 60 ფუთი ფერადი ცეცხლი. სულ ენთდ 400,000 ჭრაქი.

***** საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ტფილისში.** 11 აგვისტოს სამაგალითო გაკვეთილები მისცეს: საღმრთო წერილისა - ხელაძემ; რუსულის ენისა—ეგაძისამ; ქართულის ენისა—შუაქრომა დ ანგარიშისა ბოდბის მონასტრის სკ.მასწავლებელმა ქალმა ნ. შიუკაშვილისამ. გაკვეთილებზე დაესწრო მათი ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმერი სემინარიის რექტორითურთ. სამაგალითო გაკვეთილები შესამჩნევად კარგად მისცეს ეგაძისამ და შიუკაშვილისამ; გამჭრიახობა, ენერგია და საქმის კარგად ცოდნა ეტყობოდათ ორთავეს, უმთავრესად უკანასკნელს. რაც შეეხება დანარჩენთა გაკვეთილს, უნდა გამოვტყდეთ, ოდნავ სიცოცხლესაც არ იწვევდა შეგირდებში, რომელნიც მეტის-მეტ მოსაწყენ გაკვეთილისა გამო სულ ამთქნარებდნენ და პირს აღებდნენ. ამას გარდა, ბევრი სხვა ნაკლულევანებაც ჰქონდა მათს გაკვეთილს, რაც სამართლიანად შენიშნა ბ-ნმა ლ. ბოცვაძემ. ყოველი სამართლიანი და საყურადღებო შენიშვნა ბ-ნ ლ. ბოცვაძისა უმნიშვნელოდ არ რჩება პედაგოგიურს კურსებზე დამსწრეთათვის.

არ შეგვიძლიან აქვე არ აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო გარემოება. მასწავლებელი ქალები თვალ-საჩინოდ სჯობნიან მასწავლებელ კაცებს. რაც გინდა უცნაურად გეჩვენოს, მკითხველო, მაგრამ საქმის გარემოება და დაკვირვება-კი ნათლად გვიჩვენებს ამას.

გაკვეთილების მიცემის შემდეგ განიხილავენ ხოლმე კრიტიკულად სამაგალითოდ მიცემულ გაკვეთილებს. ჩვენ ბევრჯერ დავსწრებივართ ასეთს გაკვეთილების კრიტიკულად განხილვას, სადაც თავმჯდომარე ბ-ნი თ. ჟორდანია ყოფილა და სწორედ გითხრათ, ყოველთვის სიამოვნებით აღვსილვართ. მაგრამ ასეთს შთაბეჭდილებას არ ახდენენ ეხლანდელი კურსები. დამსწრენი თითქოს გულცივად, უსიცოცხლოდ ეკიდებიან საქმეს და საყურადღებოსა და თვალსაჩინო კითხვებს იშვიათად ეხებიან. კვლავისა რა მოკახსენოთ და 11 აგვისტოს კრიტიკული განხილვა გაკვეთილებისა უფრო გრამატიკული შეცდომების განხილვა იყო, ვიდრე საყურადღებო კითხვების წამოყენება.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ყველას დაღალვა-დაქანცვა ეტყობათ. ტფილისის სიცხეებს და მუდამ-დღე სამ-ოთხ საათამდის მეცადინეობას თავისი დაღი დაუსვამს კურსებზე დამსწრეთათვის.

საღამოს ხუთი საათიდამ დაიწყო სამაგალითო გაკვეთილები და სწავლა საეკკლესიო გალობისა. დიდის მადლობის ღირსია მ. ვ. კარბელაშვილი, რომ შრომასა და ჯაფას არ ზოგავს ამ საკეთილო საქმისათვის.

შ. ფრონელი.

***** დ. ხიდისთავი (გურია). ყალბი სასწორების აღმოჩენა.** ამას წინად გაზეთ „ივერიაში“ ბ-ნმა შხამაძემ წერილი დასტამბა დ. ხიდისთავიდან; იმ წერილის დასტამბვამ ბევრი ხიდისთავში მოვაჭრე დაალონა და შხამი გადაავლო გულზე, მაგრამ რადგან წერილში უმეტესად „ვაჭრუკანები“ იყო გაქექილი და მათი გაიძვერული მოქმედება აწერილი, ამიტომ აქაურმა ბობოლა ვაჭრებმა თავი მაღლა აიღეს და ხმა მაღლა გაიძახოდნენ: „მართლა, რომ საციმბიროა ყველა წვრილმანი „ზურდა-ხურდა“ ვაჭრები; მაგინის მიზეზით ჩვენც „აბიდა“ გვეძლევა“-ო. მაგრამ, თურმე, „როგორც ქუხს, ისე არა სწვიმს“, თურმე მგელს მგელობა დაერქვა, ტურებმა-კი ქვეყანა ამოაგდო“! მაგრამ, ბატონებო, ეხლა ისეთი დროა, რომ ქურდი მხოლოდ ის არის, ჯვარზე მარტო მას აცმენ, ვინც გროშს იპარავს, ხოლო ის-კი ქვეყნის ბურჯია, ვინც ხალხის ნაოფლარს მილიონობით ჯიბავს, ის ალაღ ხდება, „ხაზეინის“ სახელით ინათლება და ქვეყანას პირნათლად, პილატესებრ ხელ-დაბანილი ეჩვენება; ან-კი რატომ არ უნდა დარჩნენ მართალი ყველაფერში, რადგან „ლონე შესწევთ ქადლს“, ამ ქვეყნის დიდება მათს ხელშია და მაგის წყალობით ხომ „ჯოჯოხეთსაც გაანათებენ“.

აი საქმე რაშია, რაზე დამჭირდა ეს წილადობილა. მოგეხსენებათ, ვაჭრობა საზოგადოდ დაეცა და მით უმეტეს დაბის ვაჭრობა, რომელიც დამოკიდებულია დამპალ ტარანის და უვარგის ჩითეულობის გაყიდვაზე. ამას ხომ ვაჰარი ვერ მოითმენს და ეძებს სხვა რამ საქმეს გამორჩეს, სხვა რამეთი შეისრულოს დანაკლისი; არც თუ ძნელია: თუთუნი ბევრი მოდის ჩვენში და აბრეშუმი; შენი ფული არა გაქვს, გოკიელოვი, ბუტულოვი და იანცები გიცნობენ, გენდობიან და შენც აძლე პირობას, რომ მიემხრო მოძმე-მეზობლის „ორთხში“ ამოღებაში (ე. ი. მთლად ტყავის გაძრობაში); ისიც გპირდება საკომისიოს მაგრამ კაცის გული ხარბია, შენ არ სჯერდები მარტო საკომისიო გროშებს, მეტი გინდა და აი ყანთარი შენი განუყრელი მეგობარი, შეგიძლია ისეთი მალაყი გააკეთებიო, რომ ფუთზე შენ სასარგებლოდ 4—5 გირვ. წაიგდო და შენც მეტი არ გინდა; მეტი-კი გინდა, მაგრამ არც თუ მთლად ას თვალებ-ახვეულია ყველა და ა დღეებში ამ ვაჟბატონებს, ხიდისთავის მსხვილ-ფეხა ვაჭრებს ერთი თვალ-ხილული ადამიანი შეჰხვდა, რომელმაც ეჭვი აიღო ყანთარის (ყანთარი კანონით აკრძალულია) სისწორეში, დაიბარა მამასახლისი და მისი მეალვირე მწერალი და ოქმი შეუდგინა, რომლიდანაც სჩანს, რომ სასწორი ყალბია; სულ ცოტას, ფუთზე 4 გირვ. იპარავს; აბა რა სათქმელია ასე ცოტა, მაგრამ ახლა იანგარიშეთ, რამდენი წლისაა ყანთარი და მისი „ხაზეინები“ და მაშინ შეიტყობთ, რამდენი აუწაპნავთ ხალხის ნაოფლარი.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ აზნ. ალ. ბერიძე, რომელმაც ეს ღვაწლი დასდო სამს საზოგადოებას: ერკეთისას, ჯვარცმისას და ბასილეთისას, სადაც ეს უმანკო მტრედები ფარფაშობდნენ თავიანთის სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წორით, არავითარის საქმისთვის არ დასთმობს ამას და ბოლოს მისცემს და მით დაიხსნის ქვეყანას ოთხის ორ-ფეხა მგლებისაგან; მით უმეტეს არა აქვს აქ არავითარს სიბრალულს ადგილი, რომ ეს ვაჟბატონები არც სხვა საქმეში არიან წმინდა წყლისა. გვიკვირს, ღმერთმანი, ხალხის ნდობა ასე ბრმად ასეთის კაცებისადმი. მაგრამ რას იქთ!

შხამ-ნაღველიძე.

**** ქ. ქუთაისი. მატყუარა ქალი ექიმი.** ხშირად ვკითხულობთ ჟურნალ-გაზეთებში, რომ ამა და ამ სოფელში ცრუ ექიმი ხალხს ატყუებსო. ბალის ქუჩაზე, ერთს სახლში, სცხოვრობს ვიღაც ერთი ნამუს ახდილი დედა-კაცი, რომელიც არწმუნებს ხალხს, რომ ვითომ ყველა ქუთათურ ექიმებზე უკეთესად იცოდეს წამლობა და რაც უნდა სნეულობით შეპყრობილი ადამიანი იყოს-ყველას შველას პირდება, მაგრამ მაზე მინდობილი ბარე ორი სამი გამოესალმა წუთი სოფელს და აწიც ბევრს გამოასალმებს, თუ-კი არ მოჰშორდებიან, ან თუ მთავრობა არ აღუკრძალავს „ექიმობას“. ამ ხელობასთან, თურმე, მეორე ხელობაც უჭირავს, რომლითაც რყვნის ხალხს და... ამისთანა მაწანწალა-მატყუარა ექიმები არა ერთი და ორი ყოფილა, თურმე, არამედ ბევრი, მაგრამ ვინაა პატრონი? ურიგო არ იქნება ყურადღებას მიაქცევდეს ადმინისტრაცია და გადაგვარჩენდეს ამ გვარ თავ-გასულ ქალ-ვაჟ-ბატონების ხელიდგან.

— **ქართული საეკლესიო გალობა.** მას შემდეგ, რაც ჩვენი ძვირფასი მწყემსთ-მთავარი, გაბრიელი, გარდაიცვალა ჩვენ, ქუთათურები მოკლებული ვიყავით ქართულ გალობას ნამეტურ საკათედრო ტაძარში მლოცველნი. აგვისტოს, ფერის-ცვალებაზე, დიდი ხნის სურვილი და მოლოდინი განგვიხორციელდა. თუმცაღა აქაურ მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, როგორც „მწყემსში“ იყო მოხსენებული, თითქმის, ყოველ კვირა-უქმე დღეს ქართული წირვა-ლოცვა-გალობაა, მაგრამ დღევანდელმა გალობამ მთელ გურია-სამეგრელოში ცნობილმა მგალობელთა ხორომ ბ. დ. ჭალაგანიძის ლოტბარობით მთელი საზოგადოება სასოებაში მოიყვანა.

გურულ-მეგრელი

**** სოფ. მეტეხი** (ქართლი) **ეკლესია და სკოლა.** ჩვენის სოფლის სიღარიბე და გაჭირვება კალმითაც არ აიწერება: წასულის წლების დარჩენილი გარდასახადი, უმოსავლობა წყალ-დიდო-ა და ბევრი რამ სხვა გაჭირვება საშინელს მდრომარეობაში აყენებს გლეხ-კაცს, მაგრამ ბაბარაქალა მათს მამაცობას, რომ მაინც ჯერ კიდევ არ დაცემულან და ყოველს ღონეს ხმარობენ, რომ თავიანთ მწარე ბედი გაიადვილონ; მათ არ დავიწყებიათ სკოლა და ეკლესია: ამ გაჭირვებაში მყოფნი ბეჯითად შესდგომიან სკოლისათვის სახლის შენებას; ერთს დღეს თავიანთ ყანებში მუშაობენ და მეორე დღე სკოლის საჭიროებისთვის აქვთ გადადებული; ამას გარდა ორი წელიწადია, რაც ადგილობრივის ეკლესიის შეკეთებას უნდებიან და ჯერ კიდევ არ არის მზად.

წასულს თვეში ჩამოვიდა აქ ბ. საერო სკოლების დირექტორის განკარგულებით მასწავლებელი გორის სამოქალაქო სასწავლებლისა ბ. სოლომონ ლაშაური, რომელსაც დავალებული ჰქონდა სკოლის სახლის აგებაში მეთვალ-ყურობა და მართლად რომ ბეჯითად და სინიდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, მისმა ლმობიერმა მოქცევამ მუშა ხალხი წაახალისა და ყველანი სიამოვნებით მიდიოდნენ მასთან სამუშაოდ, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მასა და ადგილობრივს მოძღვარს რაღაც უთანხმოება შემოეპარათ და ბ. ლაშაური იძულებული შეიქმნა თავი დაენებებია და ისევ გორში წავიდა. ამბობენ, მამა-მოძღვარს საჩივარი შეუტანია კიდეც ბ. საერო სკოლების დირექტორთან და რით გათავდება საქმე ჯერ არავინ იცის.

ა—სი მ-ლი

**** ს. ხიმში** (რაჭა). **ძალზე შეწუხება უგზოობით.** საზოგადოდ შევიწროებულია უგზოობით მთელი რაჭა და ნამეტნავად ჩვენი სოფელი ხიმში. ჩვენს სოფელში ათი ნაწილი მეტი მამული მთიულებისაა. მაგალ. იქით ერთის ვენახია, აქეთ მეორესი და შუაში გზა; იქიდან ერთი სწევს გზისკენ ღობეს და აქედან მეორე და ამასობაში გზა დავიწროვდა; ღობეშიაც ნერგებს რგავენ, ღობეს ვეღარავინ შემოგვიწევსო. ამ ნერგების ტოტები იმ ზომამდე არის გადმოშვებული გზაზე, რომ ცხენიანი კაცის გავლა საფრთხილოა: ზოგიერთი ნერგი ეკლიანი გახლავთ და ცხენზე მჯდომი კაცი ან თავს შეახეთქს სადმე ან ქუდს მოსტაცებს ეკალი და ან თვალს მოსთხრის, რაც უნდა ფრთხილად იაროს მაინც.

ამ ჩვენს ვიწრო და დაბალ გზებიდამ თითქმის ვერს ნახევარია გზატკეცილამდე. სადმე რომ გვინდოდეს ოჯახობით წასვლა, გზა-ტკეცილამდე ფეხით უნდა ვიაროთ და მაშინაც ტალახ-ტლაპოში ვეღრჩვებით; ამ გზებზე ტალახი სულ მუდმივ გამოულეველია, რადგან ზედ წყლები მოდის, რომლებსაც უწინ სხვა გზაზე უდენია; ეხლა მთიულები ძველს ადგილზე აღარ უშვებენ წყლებს და სასოფლო გზაზე აგდებენ, რის გამო გამუდმებული ტალახებია დამდგარი. მეტად საფრთხილოა ღამე ამ გზებზე სიარული და ამ გაჭირვებას ყურადღებას სულ არ აქცევს ჩვენი მამასახლისი. გზები ისეა დავიწროებული, რომ არა თუ და ურემმა ერთმანერთს გვერდით შეუაროს, არამედ ურემს კაციც ვერ გაუვლის გვერდით, ამიტომ ხშირად ხდება ჩხუბი და აყალმაყალი, როცა მგზავრები ხვდებიან ერთმანერთს. ძლიერ საჭიროა, რომ მამასახლისმა მიაქციოს ყურადღება, დაავალოს ხალხს წყლები თავისს ნაგზაურზე გაუშვან და გზა როგორც კანონია ისე გააკეთონ. მთიულებს სრულიადაც არ ენაღვლებათ ამ გზების სივიწროვე—მათ წელიწადში ერთხელ სჭირდებათ ეს გზა რთველის დროს. ჩვენთვის-კი ყოველ ჟამს შეულეველია ეს გზები.

სოფელში რომ ვინმე გარდაიცვლება, მიცვალებულზე უფრო სამწუხაროა მისი გასვენება უგზოობის გამო; ლამის არის ხალხი გაურჯულდეს, ეკკლესიაზე ვეღარ მისულვართ. ყოველი კაცი აღდგომასავით შემოჰხარის რთველს და ჩვენ-კი ჭირსავით ველით, რადგან დაიძვრებიან მთიულები სართვლოდ თუ არა, შეიქნება წივილ-კივილი, ლანძღვაგინება ამ ვიწრო გზაში, ცემა-ტყეპას და სხვა მრავალ უსიამოვნებას ვინლა მოსთვლის. ფრიად, საჭიროა ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა პოლიციამ ამ ჩვენს გაჭირვებას და რაიმე საშუალება მოგვანიჭოს, რასაც დიდ ბედნიერებად მივიღებთ ჩვენს თავზე.

ხიმშელი ათანასე სირაძე.

**** ს. ბაზალეთი** (ქართლი)—**სასოფლო სკოლა და ქსენონი.** მიუხედავათ იმისა, რომ სოფელი ბაზალეთი სულ ორ-სამ ვერსის სიშორეზეა ქ. დუშეთიდან, მაინც აქაურნი მკვიდრნი ძალიან დაქვეთებულნი არიან სწავლა-განათლებაში, თუმც არც თუ დუშეთი სდგას ძალიან მაღლა ამ საქმეში, მაგრამ მაინც არც ისე ძნელი იქნებოდა აქაურ გლეხ-კაცობისათვის ესარგებლნა, ქალაქის ასეთის სიახლოვით და თავის შვილებისათვის შეესწავლებინა ცოტაოდენი წერა-კითხვა.

დიდი ხანია ბაზალეთში აღძრულია ლაპარაკი სკოლის დაარსებაზე, მაგრამ ჩვეულებრივის დაუდევრობის გამო, ვერ განეხორციელებინათ ეს კეთილი საქმე. დღეს, მადლობა ღმერთს, როგორც გავიგე, ძლივს გადაუწყვეტიათ, მთავრობის დახმარებით დააარსონ სკოლა და ქსენონი სოფლის ავადმყოფთათვის. მთავრობას იქვე სოფლის სამართველოსთან ახლოს ადგილიც დაუთმია შენობებისათვის.

ძალიან საქებური და სასიამოვნო იქნება, თუ მართლა ამ კეთილ საქმეში მაინც გამოიჩინეს უნარი ბაზალეთელებმა და დააჩქარეს ხსენებული საგნების დამთავრება.

— **ცუდი ამინდები და საზარელი სიკვდილი.** აი ეს სამი დღეა, რაც ცას შავად მოუჯგუფავს პირი და განუწყვეტლივ სწვიმს. დიდ ზარალს მოელოდა გლეხობა, რომ კიდევ დიდხანს გაცხელებულიყო ცუდი ამინდები ხოლო. ივლისის 30 მზემ გამოიხედა და თვის გამაცოცხლებელის სხივებით ისევ გააშრო ნახევრად კიდეც დამპალი და ჩახურებული ძნები და კალოზედ გაშლილი პური.

სამშაბათს, ივლისის 29, საზარელი უბედურება დატრიალდა ბაზალეთში. წვიმებით გაჟღენთილი ძველი კედელი გადმოინგრა და ქვეშ მოიყოლია ეგრე 11—12 წლის ყმაწვილი და გამოასალმა წუთის სოფელს. საბრალო მშობლებს იმ ერთი ვაჟის მეტი შვილი არ ჰყავდათ და მათის ცოდვით ქვაც დაიწოდა.

— **საქონლის ჭირი.** აქაც ეწვია ეგრედ წოდებული თურქული და მუსრს ავლებს აქაურს საქონელს და შველა-კი არსაიდან არის.

ბაზალელი.

**** ს. მარტვილი.** (სამეგრელო). **წიგნთ საცავის და სამკითხველოს საქმე.** როგორც უკვე მოეხსენება მკითხველებს, შარშან მთავრობის ნება რთვით ჩვენში დაარსდა სახალხო წიგნთ-საცავი უფასო სამსამკითხველოით; ასეთ კეთილ საქმისთვის ყოველ მხრიდან მივიღეთ ცოტა ოდენ შეწირულობა, თუ ფულით, თუ წიგნებითა. ამ ნაირად ფული შეგროვდა თითქმის ორას მანეთამდე, ხოლო ქართულ-რუსული წიგნები კი ხუთასამდე, რომლებთა შემომწირველების სიაც მადლობით უკვე გამოცხადდა 1896 წ. გაზეთ „ივერიის“ № 86 და 55 და გაზეთ „ცნობის ფურცელში“ № 10, როგორც საზოგადოთ ხდება. თავდაპირველად იმედები ბევრი იყო, მაგრამ საქმე რომ საქმეზე მიდგა, მაშინ კი ეს იმედები გაგვიცრუვდნენ და უმეტესობა განზე გადგა, ამ ნაირად საქმე იქამდის მივიდა, რომ წიგნთ-საცავი უნდა დაკეტილიყო, და ეს ერთად ერთი წყარო ჩვენის დედა-ენისა მაგრად ფესვის გადგმისა და ჩვენში ქართული ენის გამაგრებისა უნდა მოსპობილიყო ჩვენის გულ ცივობით. ამისათვის გულ მხურვალე მოთავემ ამ საქმისამ და გამგემ სამკითხველოისამ ქ. ბ. ლიუბოვ გაწერელიასამ 8-ს წარსულს ივნისს გამართა წლიური კრება. სამკითხველოს წევრთა-კრებას დაესწრო მრავალი ხალხი. გამგემ წარუდგინა კრებას სრული წლიური ანგარიში შემოსავალ-გასავლისა, — აუხსნა საზოგადოებას, რომ თუ სამკითხველოს შემწეობა არ აღმოუჩინეთ, იგი უეჭველად დაიხურება და სირცხვილის გარდა დიდი დასაკლისი იქნება ჩვენთვისო და სთხოვა ყველას შეძლებისადა გვარად შემწეობა. კრებამ დიდის თანაგრძნობით მიიღო წინადადება გამგესი და აღუთქვა შემწეობა—წევრებად ჩაწერით საწევრო ფულის შემოტანით. წევრებად ჩაწერის სურვილი განაცხადეს გარდა იმათი, ვინც წარსულ წელს ითვლებოდნენ კიდევ აქაურ მომრიგებელ მოსამართლემ ვ. ი. ტატიშვილმან, ქ-ნ ქ. ექიმმა ი. ხოფერიამ, მდივანმა ა. აბაშიძემ, მასწავლებელმა ი. ცხაკაიამ და კიდევ სხვებმა რიცხვით 34. ამ ჟამად ითვლება სულ 58 წევრი, მათ შორის საპატიო 10 (ხუთ ხუთ მან. შემომტანი). შემდეგ ამისა კრება შეუდგა სამკითხველოს ქაღალდების გარჩევას და შემდგომ დიდის სჯისა კრებამ ერთ ხმად დაადგინა: 1, ეხლა რაც სამკითხველოს 48 მანეთი აქვს, ის ინახებოდეს ხაზინადარის ხელში და მიემატოს ოცი პროცენტი ყოველ წლივ შემოსულ ფულებიდან მანამდის, სანამ 48 მან. არ შეივსებოდეს ათ თუმნამდე და ინახებოდეს ხელ-უხლებლად სამკითხველოს ფონდათ. 2) გაეგზავნოს წერილები ყველა იმ პირთ, რომელთაც გული შესტკივათ ხალხთა შორის წერა-კითხვის გავრცელებაზე და რომელთაც ქონიათ და აქვთ სოფ. მარტვილთან დამოკიდებულობა და ეთხოვოს მათ არ დაიშურონ თავიანთი წვლილი ასეთ კეთილ საქმისთვის, როგორიც არის უფასო სახალხო სამკითხველო სამეგრელოში. 3) ეთხოვოს ჟურნალ-გაზეთ. „მოამბის“, ,,კვალის,'' ,,ცნობის ფურცლის,'' ,,ჯეჯილის,'' ,,მეურნის'' და ,,მწყემსის'' რედაქტორებთ, რომ თავიანი გამოცემანი დაუთმონ სამკითხველოს იმ ფასად, რა ფასადაც უთმობენ ,,ივერიის'' და ,,ახალი მიმოხილვის'' რედაქტორები. 4) გამოეცხადოს მადლობა: 1, ქ-ნ. პარასკევა ნესტორის ასულს ჭალაგანიძისას, რომელმაც სამკითხველოს სასარგებლოთ ლატარიაში ჩაავდო თავისი კუთვნილი ნივთი, რომლიდან სამკითხველოს შემოუვიდა ათი მანეთი და თოთხმეტი შაური. 2) კლ. ჟორდანიასას, რომელმაც სამკითხველოს მის მის ქ. ქუთაისში შეგროვილი თორმეტი მანეთი და ექვსი შაური. 3) მინადორა იმედაძისას, რომელმაც სამკითხველოს გამოუგზავნა წარსული 1896 წლის ჟურნალ-გაზეთი ,,Родина“ სი რამოდენიმე წიგნები. 4) ირინე თურქიას, რომელმაც შამოსწირა საყმაწვილო ჟურნალი ,,ჯეჯილი'' 12 წიგნი წარსულის 1896 წლის და 5) პეტრე კონსტანტინეს ძე გეგეჭკორს, რომელმაც შემოსწირა რამოდენიმე საყმაწვილო საკითხი ქართულ-რუსულ წიგნები. თანახმად მეორე მუხლისა კრების დადგენილობისა წერილები სამკითხველოს გამგეს მიერ ყველასთან გაგზავნილ იქმნა და სამკითხველო ყველასაგან მოელის, შემწეობის პასუხს.

სამკითხველოს კომიტეტის წევრი სამღვდელო დიაკონი გ. გეგეჭკორი.

**** დუშეთი. აქაური უმწეობა, უსუფთაობა და სხვა.** იქნება ქვეყანაზედ ასეთი მიყრუებული და მიძინებული ქალაქი როგორიც დუშეთია? ესეთი გულ-ცივი, უსიცოცხლო საზოგადოება, საზოგადო საქმის არ მოყვარული, არა მგონია კიდევ სადმე იყვეს. მაშ რას უნდა მიეწეროს, თუ არ გულ-ცივობას და გულგრილობას და დაუდევრობას, რომ ამოდენა ქალაქში არც ხეირიანი სასწავლებელი არის რამე, არც ბიბლიოთეკა, არც სამკითხველო და არც ხეირიანი სცენა, რომ შეიძლებოდეს წარმოდგენის გამრთვა. ბიბლიოთეკები და სცენები ეხლა მრავლად არის სოფლებშიაც კი და აქ კი არაფერს ამ გვარს ვერ შეხვდებით. ნუ თუ ერთი პატარა სოფლის ტოლა აღარ შეუძლიან დუშეთს. მაგრამ თუ სადმე არსებობს ძველებური ქართველური მცონარობა და სიზარმაცე, ამაში დუშეთს პირველი ადგილი უნდა დაეთმოს, რადგანაც აქ ყოველს ნაბიჯზე დაუდევრობის ნიშანსა ვხედავთ.

განათლების საქმეს ვიღა ჩივის, სისუფთავეს მხრითაც არ უქნია ღმერთს დუშეთი, ყველგან უსუფთაობა, სიბინძურე გულის ამრევი, საჭიროა ერთხელ მაინც არის გაიაროთ, რომ შეგძულდეთ იგი. ასე გგონია ღვთის ანაბარად მიტოვებული მიყრუებული ალაგას სოფელიაო და ქალაქს არც ქალაქის თავი ჰყავს და არც სხვა ვინმე მზრუნველი. დუშეთი სისუფთავის მხრივ უფრო ურიების უბანს მოგაგონებთ, ვინემ ქართველების ან და სომხების ქალაქს. მაგრამ რას უნდა მიეწეროს ასეთი არა სასიამოვნო გარემოება? ნუ თუ იმას, რომ აქ ქართველები და სომხები ერთმანეთის მტრობის მეტს არაფერს აკეთებენ და საზოგადო საქმე ღვთის ანაბარად მიუტოვებიათ? შეიძლება ესეც იყვეს. ჩვენ-კი მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ეს გაუთავებელი ბრძოლა და უსიამოვნება, თან და თან უფრო მწვავდება, მას შემდეგ მაინც რაც „ერთი კარგად ცნობილი დევ-გმირი„ აქაურ სომხებს მიემხრო და ვინ იცის რას არ ამბობს და ავრცელებს ქართველებზე. საბრალო ლობე ყორეს აწყდება აქეთ-იქით, ადვოკატობით

ვერაფერი გახდა და ეხლა უნდა გამორჩეს მათ. აბა მაგანაც რა გაქვავებული დუმა მონახა.

— **მოშლილი სომხური წარმოდგენა.** სამს აგვისტოს აქ წარმოდგენა უნდა გაემართნად სომხურ და ქართულს ენაზედ, რისთვისაც მოვიდა სომხური თეატრის თბილელი მსახიობი ქალი ზაბელი და ერთიც სხვა აქტიორი. მაგრამ წარმოიდგინეთ დუშელების გულცივობა: ერთი ზალაც კი ვერ იშოვეს წარმოდგენის გასამართად. უკვე აფიშები გაკრული იყო ყველგან, თითქმის ბილეთებიც იყიდებოდა, მაგრამ წარმოდგენა მაინც არ მოხერხდა და პირცარიელი კი დარჩა ხალხი. ნუ თუ ერთი ხეირიანი ზალა მაინც არ უნდა იქონიონ წარმოდგენისთვის, რომ შორიდგან მოსულ მსახიობთ არაფერი დაბრკოლება არ გაუდობონ.

ერთი რამე კიდევ უნდა შევნიშნოთ დუშეთის საზოგადოებას: ყველგან, სადაც წავა აქაური საზოგადოება: თეატრში, თუ კლუბში უსათუოდ მთვრალები უნდა მივიდნენ და რამე უწესობა უნდათმოხდეს. ისეთი უშნო არშიყობას, ლოთობას და სხვა მრავალ ამისთანებს შეხვდებით, რომ სწორედ შეგზარავთ.

ზ. ფრონელი.

⁂ **დ. ზესტაფონი.** (იმერეთი) **უპატრონოთ გარდაცვლილი.** 9 აგვისტოს აქაურ სასტუმროში გარდაიცვალა მოხუცი ქალი თავად სამსონ აბაშიძის ქვრივი. როგორც ამბობენ, ამ მოხუცის ქმარი კარგა ხანია რაც გადაცვლილა, ამ გვარათ ეს მდიდარი და კარგი თავადიშვილის ოჯახის ქალი გარდაიცვალა სასტუმროში უპატრონოთ და უექიმოთ. ეს ორი კვირა იქნება, თურმე, რაც აქ ჩამოსულა ეს მოხუცი და დაუჭერია ერთი ნომერი. აქ ჩამოსულა რაღაც საქმეების თაობაზე, სიკვდილის წინა დღით წერილი მიუწერია ნათესავ თავ. კოტე აბაშიძისთვის, რომელიც მეორე დღეს მოვიდა, თუმცა მოხუცებულმა ვერაფრის თქმა კი ვერ მოასწრო, ისე გარდაიცვალა ბოლოს, მოვიდა ბ-ნი ბოქაულიც და აწერა მისი ნივთები, სხვათა შორის აღმოუჩნდა 20 მანათი ფული, მიცვალებული ნომერშივე ასვენია და მოელიან ექიმს, რომელმაც უნდა შეამოწმოს და გასჭრას.

— **შეშლილის უმწეობა.** გუშინ წინ აქ ერთი მჭედლის ბიჭი ჭკუიდგან შეშლილი ადილას საღამომდის არეული ყოფილა და საღამოს კი დუქნიდგან გაქცეულა. საცოდავს ბიჭები გამოსდგომიან დაიჭერენ და უწყალოთ სცემენ თურმე. ბავშვი ჰკიოდა და იძახდა „ღმერთო ნუ მისცემ ჩემ თავს ეშმაკს“ და ხშირათ იმეორებდა „ღმერთო მიშველე და ღმერთო შემეწიე“. იმ ღამეს ბავშვი სახლში გაისტუმრეს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ საცოდავს თორემ კინაღამ ცემით მოუკლავთ ბიჭებს.

ურჩი.

# თეატრის მატიანე

**სოხუმი** ქართული წარმოდგენა. კვირას, 27 ივლისს, უკანასკნელი წარმოდგენა გამართა ქართულმა დრამატიულმა დასმა, რომელიც ქუთაისიდგან გვეწვია სოხუმელებს. წარმოდგენა იყო თვით ჩვენი სახელოვანი მსახიობის ბ. გ. მესხიევის საბენეფისოდ. წარმოადგინეს კომედია „კაცი“, რომლის როლსაც თვითონ გ. მესხიევი ასრულებდა. ამ უკანასკნელს წარმოდგენაში ყველანი კარგათ თამაშობდნენ; კარგები იყვნენ ნ. ჩხეიძისა და ბ. ნნ. გ. მესხიევი, ზალდან-ჩივაძე და ჯანოევი. ამ დღეს თითქმის მთელი სოხუმის ქართველობა დაესწრო წარმოდგენას და მათს აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ყოველ მოქმედების შემდეგ სამ-სამ ჯერ იწვევდენ მესხიევს ტაშის კვრით და გაშას ძახილით. მოთამაშე მანდილოსნებს თაიგულები მიართვა საზოგადოებამ და ბ-ნ გ. მესხიევს-კი ოქროთ მოვარაყებული ვერცხლის საჭიქე, თავის მოწყობილობით.*

წარმოდგენის შემდეგ დასს ვახშამი გაუმართა სოხუმის ქართველობამ. მრავალი სიტყვა წარმოსთქვა ამ ვახშამზედ და მეტად გრძნობიერი და შესაფერი სიტყვები თქვა ბ-ნ გ. მესხიევმა.

ი. ბ—ძე

**ზესტაფონი** (იმერეთი) ქართული წარმოდგენა. ამ თვის 6-ს აქ გამართეს წარმოდგენა ბ-ნნ გალუსტოვმა და თამაზიშვილმა. წარმოდგენილი იყო: „ადვოკატი მელამე“ და „პრიკაშჩიკი შკაფში“. ხალხი ბლომად დაესწრო და წარმოდგენამაც კარგად ჩაიარა— მადლობის ღირსნი არიან ბ—ნნი თამაზოვი და გალუსტოვი, რომ ხალხი ნელ-ნელა მიაჩვიეს პროვინციებში ქართულ წარმოდგენაში სიარულს. განა არ შეეძლოთ ჩვენ საუკეთესო აქტორებს ზაფხულობით დრო გამოშვებით ემართნად წარმოდგენები საქართველოს სხვა და სხვა დაბა სოფლებში, ხალხისათვის სარგებლობა მოეტანათ და თვითონაც ესარგებლნათ, მით უფრო ვიცით რა მათი უკიდურესი მდგომარეობა, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ორი კაცი ვერ მორიგებულან, ვერ შეთანხმებულან… მახლას!

თანაგრძნობი

# სამეცნიერო ცნობა

ამინდის წინასწარმეტყველება. შვეიცარიის რესპუბლიკაში ყველგან მოდებულია ტელეფონის მავთულები. ყველა სოფელში გამართულია ტელეფონში სალაპარაკო სადგურები. ამის შემწეობით იქ მეტის-მეტად გავრცელებულია ამინდის წინასწარმეტყველება შემდეგი დღისათვის. ციურიხის ჰავა-ამინდის ცნობათა სადგურს ყოველ დღე მოსდის მთელ ევროპიდამ ცნობები შემდეგი დღის ამინდის შესახებ. ციურიხი თავის მხრივ ამ ცნობებს ატყობინებს სოფლებს, რომლებიც, რასაკვირველია მოისურვებენ ხოლმე ცნობების მიღებას. ფასი ამინდის წინასწარმეტყველობის შესატყობად ძალიან მცირეა, თვეში 3 მანათი თითო სოფელზედ. მეცნიერებაზედ დაფუძნებული ამინდის წინასწარმეტყველება აშკარაა დიდს სარგებლობას მოუტანს სოფლის მცხოვრებლებს.

მზის სხივები და შავი ჭირის ბაქტერიები.* ცნობილმა მეცნიერმა და ბაცილების გამომკვლევარმა იაპონელ ქიტაზატომ ამოაჩინა, რომ შავი ჭირის ბაცილას თუ 4 საათის განმავლობაში დაჭყურებს ცხარე მზე, უეჭველად კვდებაო. ამასვე ამტკიცებს აგრეთვე ექიმი რუდოლფ აბელი. აღმოაჩინეს, სხვათაშორის, რომ ბაცილა 20 დღე და ღამეს სძლებს ადუღებულ და დაწმენდილ წყალშიაც.

# საოჯახო დარიგება

ხორცის დამარილება. ჩვენში ჩვეულებრივ ხორცს ამგვარად ამარილებენ: წაუყრიან ფხვიერ მარილს და დადგამენ რამდენსამე ხანს ასე. ასეთი საშუალება არ არის მეტის-მეტი კარგი ჯერ ერთი იმითი, რომ ბევრი მარილი მიდის და მეორე ამ გვარ დამარილებულ ხორცს აღარა აქვს თავისი წვენი, მარილი იწოვს ხორცის სინოტიოს, ხორცი ხმება და გემოსაც კარგავს.

ყველაზედ კარგი დასამარილებელი საშუალება შემდეგია: ადუღეთ ათი გირვანქა წყალი 2 გირვანქა მარილში, მიუმატეთ 12 მისხალი გვარჯილა და 21 მისხალი შაქრის სქელი წვენი. დუღილის დროს ქაფი უნდა მოიხადოთ, შემდეგ უნდა გაცივდეს და დაასხას კარგა მჭიდრო ჩაწყობილ ხორცზედ. ამ გვარად დამარილებულ ხორცს შემწვარსაც და მოხარშულსაც კარგი, სასიამოვნო გემო აქვს.

# წვრილი ამბავი

აქტორის მოხერხებული ოინი. გაზ. „ეკატერინოსლ. გუბ. ვედომ.“-ში აწერილია ერთის იქაურის მსახიობის თავ-გადასავალი: ეგ აქტორი ქ. ეკატერინოსლავიდამ მიიწვიეს წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად ქ. ნიკოლაევის თეატრში; რა თქმა უნდა, აქტორი დაუყოვნებლივ გაემგზავრა რკინის გზით; ღოლინის სადგურზე მატარებელი გამოიცვალა და სხვა ვაგონში გადავიდა და გაემგზავრა; ცოტა მანძილი რომ გაიარა მატარებელმა, მსახიობმა შეამჩნია, რომ ღოლინის სადგურზე ბარგის გადმოტანის დროს მას დავიწყებია იქ ერთი სკივრი, რომელშიაც ჰქონდა მასთვის აუცილებელი საჭირო სამკაული და რადგან უმისოდ წარმოდგენებზე მონაწილეობას ვერ მიიღებდა—აქტიორი დიდად შესწუხდა. მეტი რომ ვეღარა მოიფიქრა-რა, გადმოხტა მატარებლიდამ და ღოლინის სადგურს მიაშურა, იქ დახვდა თავისი სკივრი ხელ-უხლებლად. ეხლა ახალი და კიდევ უარესი უბედურება: სამკაული და მოწყობილობა-კი ხელთ-იგდო, მაგრამ ნიკოლაევისაკენ მიმავალი მატარებელი აღარ აღმოჩნდა! —რა ჰქნას, ვის მიჰმართოს? უსათუოდ-კი, როგორც იქნება იმ საღამოსვე უნდა ჩასულიყო ნიკოლაევში, რადგან წარმოდგენა დანიშნული იყო. თავისი გაჭირვება უამბო მან რკინის გზის მოხელეთ,—მაგრამ არა გამოდნა-რა; ბოლოს შეიტყო—ერთის საათის შემდეგ საქონლის მატარებელი გავაო, რომელიც სწორედ საღამოს ქ. ნიკოლაევში იქნებაო, ხოლო კერძო მოგზაურთ არ წაიყვანენ ამ მატარებლითაო, და აი რა ოინი მოაგონა მსახიობს გაჭირვებამ: საჩქაროდ გაექანა სავაჭრო მოედანზე, იყიდა ათიოდ ქათამი და მოიყვანა სადგურზე; აიღო ბილეთი ქათმებისათვის საქონლის მატარებელში და თითონაც ჩაეწერა ქათმების მხლებელ-მეთვალყურედ; რკინის გზის მოხელეებმა უარი ვერ უთხრეს მას კანონიერს მოთხოვნილებაზე და ამ ოინით მოხერხებულმა აქტორმა, იმავე საღამოს დანიშნულს ალაგას ამოჰყო თავი და წარმოდგენაშიაც მიიღო მონაწილეობა....

ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

# განცხადებანი

სარძეო

„ლისი“

სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა № 117 და 118, თეატრის გვერდზედ.

მსურველთ ყოველ-დღე შეუძლიანთ იშოვნონ

რძე, მაწონი, ჩაი, ყავა, კაკაო, ნაღები, კარაქი, შოკოლადი, კრემი ყველი, ნაზუქი, ჟელე, მურაბები მაროჟნი და სხვა ტკბილეულობა ხაჭაპურები, ნაზუქები და ფუნთუშები კარაქით, ყველით, კვერცხით და სხვა-და-სხვა საუზმე.

ფასი ყოველივეზე მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწდომი.

ვაჭრობა დილიდან საღამომდე.

МОЛОЧНАЯ „ЛИСИ“
Дворцовая ул. д Грузинск. Дворянст
№№ 117 и 118.

(15–1)

## მოწოდება

სწავლა-განათლების მოყვარეთა მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა მიმართ

ქრისტეს მოყვარენო და მოსავნო ძენო და ასულნო სრულიად ივერიისანო! ჩვენ დაბალნი დანი შავით მოსილნი ჯიხეთის ტაძრათ მიყვანებისა დედათა სავანისანი, უმორჩილესადა გთხოვთ აღმოუჩინოთ ნივთიერი შემწეობა ჩვენგანვე დაარსებულს **უფასო ერთ-კლასიან საქალებო სამრევლო სასწავლებელს,** რომელიც დაარსებულია იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელზე, პირველ იანვრიდან 1896 წლისა და რომელშიაც ვლებულობთ და ვასწავლით უსასყიდლოთ ღარიბთა შვილებს.

ძველ დროში ჩვენი მონასტრები და ეკკლესიები აღყვავებულნი იყვნენ კეთილ-მნებებელ შემწირველთაგან და იმედია, რომ კიდევ ღვივის ეს სიყვარული ქართველთა შორის.

წვლილი შემოწირულობა დიდის მადლობით იქნება მიღებული და გთხოვთ გამოგზავნოთ ამ ადრესით: Настоятельницѣ Джихетской женской Общины монахинѣ Еленѣ. Въ м. Ланчхуты.

დავშთებით თქვენი ღვთისადმი მსასოებელი
ჯიხეთის სავანის დანი.

(6–3)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება

შემდეგი ახლად დაბეჭდილი წიგნები:

| | |
|---|---|
| ქრონიკები, თ. ჟორდანიასი, II ტომი | 3 მ. |
| ქართული ზმნების კლასიფიკაცია, არ. ქუთათელაძისა | 50 კ. |
| ლექსები ან ფურცელაძისა | 40 კ. |
| აღმოსავლეთის ისტორია, ი. გომართელისა | 15 კ. |
| ნათელა, პოემა აკაკისა | 20 კ. |
| ბუნება და ცხოვრება, ი. ალხაზიშვილისა | 60 კ. |
| გლეხი-კაცის ისტორია, ერკმან-შატრიანისა | 60 კ |

(10—3)

## ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანათ ჰსურს შეისწავლოს

სრული კურსი ბუღალტერიისა **სამის თვის** განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ-ბრენერს.**

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანათ შესწავლისა 60 მან.

## КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ.

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи,)
3) **Арифметики на счетахъ,**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній, —преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита и препод. **школы садоводства.**

## ПЛАТА ЗА ВЕСЪ КУРСЪ 60 РУБ.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е числа каждаго мѣсяца. **АТТЕСТАТЫ за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ Фонъ Бренеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—61)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Августа 1897 г. სტამბა ექ. ი. ხელაძისა, დორიანი-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია**